

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუხათა და გლხითა მთავროგის

პანონთა და განკარგულაგათა კრეგული

1928 წ.

იუსციდიის სასკალხო კომისსარიატვის გამცეცა



1928 წ. სექტემბერი 6

№ 11

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

104. დადგენილება № 53 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სსრკ-ის საზღვარგარედ მომქმედ დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე საცხოვლისტების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის მისაღებ ღონისძიებათა შესახებ.

105. დადგენილება № 55 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. საკურორტო ადგილებში საკურორტო გამოსადების დაწესების შესახებ.

106. დადგენილება № 57 ც. ა. კ.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების კვმდებარეობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

107. დადგენილება ს. კ. ს.—სამაზრო კომიტეტების შესახებ.

108. დადგენილება ს. კ. ს.—ინდუსტრიალური სააბრეშუმო თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის შესახებ.

109. დადგენილება ს. კ. ს.—მუხათა და გლხითა წითელი არმიის იმ მეთაურებისათვის, რომელნიც სამხედრო სკოლებიდან გამოიშვებიან, სათანადო სამოქალაქო სასწავლებელ-დამთავრებულთა უფლების მინიჭების შესახებ.

110. დადგენილება ს. კ. ს. საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

111. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან და რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა ორგანოებთან საუწყებო საგვგზო კომისიების დაარსების შესახებ.

112. დადგენილება ს. კ. ს.—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისათვის სამშენებლო მუშაობის საწარმოებლად გრძელვადიანი კრედიტის მიცემის პირობების შესახებ.

113. დადგენილება ს. კ. ს.—უმუშევართა სწავლების კურსების მოწყობისა და შეფების წესის შესახებ.

სენატორული აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

104. დადგენილება № 53 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სსრკ-ის სახლდარგარედ მომქმედ დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე სპეციალისტების საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფისათვის მისაღებ ღონისძიებათა შესახებ.

„სახლის დროებით მდგმურებისა და დროებით წასულ მდგმურებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ“ გამოცემული დებულების შესავსებად და გამონაკლისად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ სპეციალისტს, რომელიც სახლდარგარედ გაიგზავნება სსრკ-ის სავარგო ვაქრობისა და შინა-ვაქრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებში და სსრკ-ის სხვა სავარგო ორგანიზაციებში სამუშაოდ, შეენარჩუნება მის მიერ საზღვარგარედ წარვლინებამდე დაკერილი საცხოვრებელი სივრცე მთლად იმ ხნის განმავლობაში, რაც აღნიშნული პირი წარვლინებული იქნება საზღვარგარედ, ან რა ხნითაც სსრკ-ის საზღვარგარედ მომქმედი დაწესებულება, თუ ორგანიზაცია დასდებს მასთან შრომის ბელშეკრულებას.

2. სსრკ-ის საზღვარგარედ მომქმედი დაწესებულებისა და საწარმოს მომუშავეს 1-ლ მუხლში აღნიშნულთაგანს უფლება აქვს საზღვარგარედ მივლინების დროს გადასცეს თავისი ბინა, წარმვლინებელ დაწესებულებასთან შეთანხმებით, სხვა პირს მშრომელთა წრიდან, იმ პირობით კი, რომ ზემო აღნიშნული მომუშავეს მიერ საზღვარგარედ მუშაობის დამთავრებისას და საქართველოს სსრ-ში მისი დაბრუნებისთანავე იმ პირმა, რომელსაც სადგომი გადაეცა, დაუყოვნებლივ განათავისუფლოს ეს სადგომი იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი ხანი სცხოვრობდა იგი იმ სადგომში. უკეთეს ეს პირი უარს იტყვის სადგომის განათავისუფლებაზე, იგი, საცხოვრებელი სივრცის მიუცემლად, გამოსახლებულ იქნება აღმინისტრაციული წესით იმ სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით, რომლის მომუშავეც წარვლინებული იყო საზღვარგარედ.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მომუშავეს საზღვარგარედ ყოფნის დროს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების სასყიდელი, დაწესებულის ნორმით, გადახდება იმ პირს, ვისაც სადგომი ფაქტიურად უჭირავს.

4. საქალაქო საბჭო მოვალეა, სათანადო უწყების ან დაწესებულების შუამდგომლობით, მისცეს საცხოვრებელი სადგომი ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირებს, უკეთეს მათ დაჰქარავს საცხოვრებელი სივრცე სამუშაოდ საზღვარგარედ წასვლის გამო.

5. ამა დადგენილების 1, 2 და 3 მუხლები გავრცელდება აგრეთვე იმ საც-ხ-ებზე, რომლებსაც დაწესებულებათა და საწარმოთათვის მიკუთ-ნებულ სახლებში მოთავსებული.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ—სტურუა.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ.—ივანოვ-კავკასიელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებ-
ბელი კომიტეტის მდივანი ვარძიელი.

1928 წ. ივლისის 11.
ტფილისი—სახალგ.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 185 №-ში 1928 წ. აგვისტოს 11.

105. დადგენილება № 55 ც. ა. ძ. და ს. ძ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. საკურორტო ადგილებში საკურორტო გამო-საღებების დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სა-ქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს დააწესონ ხოლმე საკურორტო გამოსაღები მე-2 მუხლში აღნიშნულ სამკურნალო ადგილებში და გადაახდევინონ იგი კურორტზე მიმსვლელებს, მე-2 მუხლში ჩამოთვლილ გამონაკლისებით, მთელი საკურორტო სეზონის განმავ-ლობაში.

2. საკურორტო გამოსაღების დაწესება ნებადართულია შემდეგ სამკურნა-ლო ადგილებში: 1) ბორჯომში, 2) აბასთუმანში, 3) წალღერში, 4) ცემში, 5) ტბაში, 6) ბაკურიანში, 7) ახალ-დაბაში, 8) სურამში, 9) კოჯორში, 10) კიკეთში, 11) წყნეთში, 12) მანგლისში, 13) ალბულაში.

3. მეორე მუხლში კურორტების სამკურნალო სეზონის ხანგრძლივობა გან-საზღვრულ იქნეს შემდეგნაირად: კოჯორისა, მანგლისისა, ალბულისა, კიკეთისა, წყნეთისა, ბორჯომისა, სურამისა და აბასთუმანისათვის—ივნისის 1-დან ოქ-ტომბრის 1-მდე; წალღერისა, ტბისა, ცემისა და ახალ-დაბისათვის—ივნისის 15-დან ოქტომბრის 1-დე და ბაკურიანისათვის ივნისის 15-დან სექტემბრის 15-დე.

4. საკურორტო გამოსაღების რაოდენობა მთელი სეზონის განმავლობაში არ შეიძლება აღემატებოდეს: ბორჯომსა, აბასთუმანსა და წალღერში 5 მანეთს, ხოლო დანარჩენ კურორტებში, რაც ამა დადგენილების მე-2 მუხლშია აღნიშნუ-ლი, 3 მანეთს თვითეულ მიმსვლელზე.

5. ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს ეძლევათ შეღავათი ამა დადგენილების მე-4 მუხ. თანახმად დაწესებული გამოსაღების 50%-ს რაოდენობით:

ა) მუშებსა და მოსამსახურეებს, „თეთრომის“ კავშირში მყოფ შინამრეწველებსა და ხელოსნებს და მათი ოჯახის წევრებს;

ბ) იმ მშრომელ გლეხებს, რომელთა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი წლიური შემოსავალი - 400 მან. არ აღემატება, და მათი ოჯახის წევრებს.

შენიშვნა. გამოსაღების განაკვეთი ამა მუხლში აღნიშნულ პირთა ისეთი ოჯახის წევრისათვის, რომელშიაც სამ სულზე მეტია, განისაზღვრება მე-4 მუხ. დაწესებული გამოსაღების 25% -ს რაოდენობით.

6. საკურორტო გამოსაღებისაგან განთავისუფლებულია:

ა) ის მუშა, მოსამსახურე და გლეხი, რომელსაც სახელმწიფო ორგანო და პროფესიონალური ორგანიზაცია გააგზავნის მთავარ საკურორტო სამმართველოს, პროფესიონალური ორგანიზაციებისა და სოციალური დაზღვევის ორგანოების სანატორიუმში, პანსიონატში და დასვენების სახლში;

ბ) ის მუშა და მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი, რომლის თვიური სამუშაო საშოვარი 120 მან. არ აღემატება;

გ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული ინვალიდი;

დ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული გლეხი;

ე) ბავშვი და მოზარდი 16 წლამდე;

ვ) სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს და მათთან გათანაბრებული დაწესებულებისა და საწარმოს ის მოსამსახურე, რომელიც საკურორტო ადგილას მივა სამსახურის საქმის გამო;

ზ) ის სასეზონო მუშა და მოსამსახურე, რომელიც მუშაობს კურორტის ტერიტორიაზე სამკურნალო სეზონის განმავლობაში;

თ) ის პირი, რომელიც პირადი საქმისათვის მივა კურორტზე ვადით არა უმეტეს 5 დღისა.

7. საკურორტო გამოსაღების საკურორტო ადგილას მისულს გადაახდევინებს მილიციის ორგანო მისული პირის ვინაობის დოკუმენტების საცხოვრებელ დაეთარში ჩაწერის დროს.

შენიშვნა. კურორტ აბსთუმანში გამოსაღებს ახდევინებს ადგილობრივი საკურორტო სამმართველო.

8. საკურორტო გაპოსაღების ვადამხდევინებელი ორგანო მისცემს ვადამხდელს აღნიშნული გამოსაღების გადახდის სითანადო ქვითარს.

შენიშვნა 1. სათანადო წარწერა ქვითარის ვაკემის შესახებ უნდა გაუკეთდეს ვადამხდელის მიერ წარდგენილ ვინაობის დოკუმენტს მეორე გვერდზე.

შენიშვნა 2. საქვითარო დაეთარი ზონარგაყრილი და შემოწმებული უნდა იყოს სამაზრო საფინანსო განყოფილების ან საკურორტო სამმართველოს მიერ — კუთვნილებისამებრ.

9. მილიციის ორგანო მოვალეა აკრეფილი საკურორტო გამოსაღები შეიტანოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ საღაროში თვეში ორჯერ მაინც.

10. საკურორტო გამოსაღების შემოსავალი გამოყენებულ უნდა იქნეს მარტოდენ სათანადო კურორტის სასანიტარო-სამედიცინო პირობების გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობისათვის,

11. საკურორტო გამოსაღებით შემოსული თანხები ვატარებულ იქნება სათანადო ადგილობრივი ორგანოს ბიუჯეტში და დაიხარჯება თვით ამ ორგანოს მიერ, ამა დადგენილების მე-12 და 13 მუხლებში აღნიშნული გამოანაკლისებით.

12. იმ საკურორტო ადგილას, სადაც გამოსაღების აკრეფის უშუალოდ საკურორტო სამმართველო აწარმოებს, სახელდობრ, გამოსაღებით შემოსულ თანხებს დახარჯავს თვით საკურორტო სამმართველო ამა დადგენილების მე-10 მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

13. ისეთ კურორტებში, რომლის გამგებლობაც ეკუთვნის როგორც საკურორტო სამმართველოს, ისე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს, სახელდობრ: ბორჯომსა, წაღვერსა, ცემსა, ბაკურიანსა და ახალ-დაბაში, საკურორტო გამოსაღების შემოსავალი თანასწორად განაწილდება ორივე ორგანოს შორის და მთლად დაიხარჯება ამავე კურორტის კეთილმოწყობისათვის, ორივე ორგანოს მიერ წინასწარი შეთანხმებით შემუშავებული გეგმისამებრ.

14. ის საკურორტო გამოსაღები, რასაც გადამხდელი თავის დროზე არ გადაიხდის, ჩაირიცხება ნარჩენად და გადაიხდება გადამხდელს საურავის დარიცხვით უდავო წესისამებრ, რაც დადგენილია გადასახადთა გადახდევინების დებულებით.

15. სამაზრო საფინანსო ვანყოფილება პერიოდულად შეამოწმებს ხოლმე ანგარიშწარმოებას, რაც დაკავშირებულია საკურორტო გამოსაღების გადახდევინებასთან და მეთვალყურეობას გაუწევს როგორც მილიციის ორგანოს მიერ აღნიშნული გამოსაღების სისწორით გამოანგარიშებას, ისე ამ გამოსაღების თავის დროზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ საღაროში შეტანას.

16. გადამხდელის მიერ შეტანილი საჩივარი გამოსაღებით არასწორი დაბეგვრის შესახებ განიხილება ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებითათვის არსებული საერთო წესის მიხედვით.

17. ზედმეტად ან უკანონოდ შემოსული საკურორტო გამოსაღები დაბრუნებულ უნდა იქნეს საერთო წესით, რაც დადგენილია ადგილობრივი გადასახადთა და გამოსაღებითათვის.

18. დადგენილება ესე ძალაში შედის 1928 წლის მაისის 1-დან.

19. აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ დააწესონ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიის საკურორტო ადგილებში საკურორტო გამოსაღები მე-4 და .5 მუხლ. აღნიშნული უკიდურესი რაოდენობით და ამ გამოსაღების გადახდევინებისა და გამოყენების იმ წესით, რაც ამა დადგენილებითაა გათვალისწინებული.

20. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივანოვ-კავკასიელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

1928 წ. ივლისის 18.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 179 №-ში 1928 წ. აგვისტოს 4.

106. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 57 ო. ა. ქ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის 1928 წ. იანვრის 29-ს დადგენილების თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ ა. წ. მარტის 26-ს თარიღითა და მე-18 №-ით გამოცემული (კან. კრ. 1928 წ. მე-4 №-რი, მუხ. 34) დადგენილების დასამატებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I

დროებით, ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სათანადოდ გადასინჯებულდეს, ამ კოდექსის 25 და 26 მუხლის გასაუქმებლად და 366 მუხლის სათანადოდ შესაცვლელად, 1928 წ. რედაქციის სისხ. სამ. კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ქვემდებარეობა.

1. ყოველი საქმე 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით, გარდა იმ საქმეებისა, რაც აღნიშნულია ამ კარის შემდგომ მუხლებში და მე-II კარში.

2. სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად, სასამართლო ბრძანების წესით, განიხილავს საქმეებს ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია

სისხლ. სამ. კოდ. 64, 65, 68 მუხ. 3 ნაწ., 73, 90, 93, 102, 103, 108, 198 მუხ., 200 მუხ. 1 და 2 ნაწ., 201 მუხ., 202 მუხ. 1-ნაწ. და 203—211 მუხლში.

3. სამაზრო სასამართლოებს, ხოლო აფხაზეთის სსრ-კისა, აკარისტანის ავტონომიური სსრ-კისა, და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარ და უმაღლეს სასამართლოებს, ექვემდებარება შემდეგი საქმები:

ა) სახელმწიფოებრივი: კონტრავოლიუციონური და მმართველობის წესის საწინააღმდეგო, ს. ს. რ. კავშირისათვის განსაკუთრებით საშიში დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 58¹—58² მუხ.;

ბ) მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 60, 63, 70 მუხ., 72 მუხ. 1 ნაწ., 77, 78 მუხ., 81 მუხ. 2-3 ნაწ. და 84 მუხ. მე-2 ნაწ.;

გ) თანამდებობრივი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 114-121 მუხ., 122 მუხ. 2 ნაწ., 123 მუხ. 2 ნაწ. და 125 მუხ., აგრეთვე 126 და 127 მუხლში, უკეთუ ამ დანაშაულს მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, ან უკეთუ იგი ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით;

დ) სამეურნეო დარგის დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 134—138 მუხ.;

ე) პიროვნების სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა, თავისუფლებისა და ღირსების საწინააღმდეგო დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდ. 144—147, 160, 167—173 მუხ. და საგვარეულო უოფა-ცხოვრების ნაშთად დარჩენილ დანაშაულთა დებულების (დანართი) 1-მუხ.;

ვ) ქონებრივი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია 177 მუხ. „ე“ პუნქ., 180 მუხ. 3 ნაწ., 181 და 185 მუხ. და 194 მუხ. მე-3 ნაწ.

4. სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ კამერას შრომის კანონთა დარღვევის საქმეთათვის ექვემდებარება საქმები ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდ. 139, 140 და 141 მუხ.

II

საქართველოს სსრ სისხლ. სამ. საპრ. კოდექსის 27 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 27. სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება:

ა) სამხედრო დანაშაულთა საქმეები;

ბ) ისეთი სახელმწიფოებრივი (კონტრავოლიუციონური და მმართველობის საწინააღმდეგო, სსრკ-თვის განსაკუთრებით საშიში) დანაშაულის საქმეები, რასაც ჩაიდენს სამხედრო მსახური და სათადარიგოდ ჩარიცხული სამხედრო-ვალდებული პირი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს, აგრეთვე ომიანობის დროს ზურგისა და ფრონტის მომსახურებისათვის მოწყობილ განსაკუთრებულ გუნდში მყოფი მოქალაქე, და რაც გათვალისწინებულია სახელმწიფოებრივ დანაშაულთა 1927 წ. თებერვლის 25-ის დებულების 2-5, 8-10, 14, 17, 21, 24 და 25 მუხ. (სსრკ. კან. კრებ. 1927 წ. მე-12 №-რი¹ მუხ. 123, საქართველოს სსრ—1928 წ. რედაქციის სისხლ. სამ. კოდ. 58²-⁴



58¹⁰, 58¹¹, 58¹², 58²¹, 58²² და 58²³ მუხ.), აგრეთვე ამავე დებულების 11, 12 და 23 მუხ. (საქართველოს სსრ 1928 წ. რედაქციის სისხლ. სამ. კოდ. 58¹¹, 58¹², და 58²³ მუხ.), უკეთეს საქმეზემოთაღნიშნულ სახელმწიფოებრივ დანაშაულს შეეხება;

გ) „ბ“ პუნქტში აღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილი თანამდებობრივი და ქონებრივი დანაშაულის საქმეები, რაც ვათვალისწინებელია 1928 წლის რედაქციის სისხლ. სამ. კოდ. 119-126 მუხ. და 177 მუხ. „ვ“ და „ზ“ პუნქტ;

დ) ისეთი სხვა დანაშაულის საქმე, რაც საფრთხეს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სიმტკიცისა და ძლიერებისათვის, უკეთეს შიში განხილვა დაეველა სამხედრო ტრიბუნალს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების საფუძველთა 21 მუხ. 1 შენიშვნის წესისამებრ;

ე) ყველა დანაშაულის საქმე, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი, ისეთ ადგილას, სადაც რაიმე განსაკუთრებული მიზეზით საერთო სასამართლოები არ მოქმედობენ.

III

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-კისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარეობს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1928 წ. აპრილის 11.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 194 №-ში 1928 წ. აგვისტოს 23.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

107. დადგენილებანი ს. კ. ს.

საბაზრო კომიტეტების შესახებ.

ბაზრის ტერიტორიის ფარგლებში ნორმალური სანიტარული პირობების დასაცავად და ყველა იმ სამეურნეო საკითხის სისწორით გადასაწყვეტად, რაც კი ბაზარში მოვაკრე პირთა და დაწესებულებათა შორის ფულის მოგროვებას შეეხება ბაზრის დაცვისათვის და კომუნალურ მოთხოვნისათვის დაკმაყოფილე-

ბისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამისთანავე დართული დებულება საბაზრო კომიტეტების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ივანოვ-კავკასიელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. ივნისის 27.

ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საბაზრო კომიტეტების შესახებ.

1. ქალაქის საბაზრო კომიტეტის ორგანიზაცია.

1. ქალაქის საბაზრო კომიტეტის მოწყობა როგორც სავაჭრო ორგანიზაციის შუამდგომლობით, ისე სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნით.

2. საბაზრო კომიტეტის ტერიტორიას, აგრეთვე საბაზრო კომიტეტის წევრებისა და მათი კანდიდატების რიცხვს განსაზღვრავს სათანადო სამაზრო და სამაზრო საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი—კუთვნილებებისამებრ.

3. საბაზრო კომიტეტს აირჩევს საბაზრო ტერიტორიაზე მოვაჭვრეთა საერთო კრება. საორგანიზაციო (პირველ) საერთო კრებას საბაზრო კომიტეტის პირველი შედგენილობის ამოსარჩევად მოიწვევენ ამა დებულების მე-2 მუხლში დასახელებული ხელისუფლების ორგანოები.

4. საბაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ან სამაზრო-საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—კუთვნილებებისამებრ—შეუძლიან ჩამოაცილოს საბაზრო კომიტეტში არჩეული პირი ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მას წარედგინება საბაზრო კომიტეტის ამრჩევ საერთო კრების ოქმი; ამ ვადის გასვლის შემდეგ ამორჩეული პირები დამტკიცებულად ჩაითვლებიან. უკეთეს საბაზრო კომიტეტში არჩეული პირები ჩამოცილებულ იქნენ, საბაზრო კომიტეტის ახალი შედგენილობის ან მისი ნაწილის ასარჩევად ერთი კვირის ვადაზე მოიწვევა ახალი კრება ამა დებულების მე-3 მუხ. აღნიშნული წესით.

5. საბაზრო კომიტეტს რეგისტრაცია გაუკეთდება სათანადო სამაზრო ან სამაზრო-საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტში—კუთვნილებისამებრ.

II. საბაზრო კომიტეტში იმ პირთა რეგისტრაცია, რომელნიც ვაჭრობას ან რეწვას ეწევიან.

6. ყველა ის პირი და ორგანიზაცია (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო), რომელსაც ვაჭრობისა და რეწვისათვის უჭირავს ბაზარზე მისთვის მიჩენილი მუდმივი ადგილი, მოვალეა ათი დღის განმავლობაში დღიდან ამა დებუ-

ლების გამოქვეყნებისა რეგისტრაცია გაიკეთოს საბაზრო კომიტეტში, რაზედაც საბაზრო კომიტეტი გამოაკრავს განცხადებას. ის პირი და ის ორგანიზაცია, რომელიც საბაზრო კომიტეტის მოწყობის შემდეგ გახსნის ბაზარზე საწარმოს, მოვალეა რეგისტრაცია გაიკეთოს არა უგვიანეს სამი დღისა იმ დღიდან, რაც ბაზარზე სავაჭრო ოპერაციებს დაიწყებს.

III. საბაზრო კომიტეტის უფლება-მოვალეობანი და მოქმედების წესი.

7. საბაზრო კომიტეტი ირჩევა ერთი წლის ვადით. მას დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს, რათა შესრულებულ იქნეს ხელისუფლების ყველა მოქმედი განკარგულება ადმინისტრაციული მმართველობის საკითხების სფეროში;

ბ) თვალყური ადევნოს, რათა ბაზრის ტერიტორიის ფარგლებში არა სწარმოებდეს უპატენტო ვაჭრობა ან რეწვა და არ იყიდებოდეს უბანდეროლოდ ისეთი საქონელი, რაზედაც დადებულ უნდა იქნეს აქტიზი, აგრეთვე თვალყური ადევნოს იმ პირთა, რომელთაც გადასახადების შეუტანლობის გამო ვაჭრობა აკრძალული აქვთ;

გ) მიიღოს ღონისძიება ბაზრის ტერიტორიისა და იმ ქონების დასაცავად, რაც ამ ტერიტორიაზეა, და აგრეთვე ბაზარზე ნორმალური სანიტარული პირობების უზრუნველსაყოფად;

დ) გააწვინოს ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრე პირთა და ორგანიზაციათა შორის ეს ხარჯები, რაც საჭირო იქნება ბაზრის ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე მდებარე ქონებისა და ბაზარზე ნორმალური სანიტარული პირობების დასაცავად, აგრეთვე ელექტრონსა, წყალსა და სხვა შინაგანწყვსრიგების განხორციელებასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; საბაზრო კომიტეტს დაეკისრება აგრეთვე ფულის შეგროვება ყველა აღნიშნული საჭიროებისათვის.

8. შინაგანწყვსრიგების წესები საეაღდებულა ყველასათვის, ვინც კი მუდმივად ან დროებით ვაჭრობს თუ რეწაობს ბაზარზე. საბაზრო კომიტეტი მოვალეა შინაგანწყვსრიგების წესების ტექსტი დამტკიცებისთანავე გაუგზავნოს სათანადო პრეზიდენტს.

9. საბაზრო კომიტეტში შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა, ვისაც კი უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაზე.

10. საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარეს დანიშნავს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეს აირჩევს კომიტეტის წევრები თავის შედგენილობიდან. ამასთანავე ისეთ ადგილებში, სადაც კერძო მოვაჭრეების გარდა ვაჭრობას ეწევიან აგრეთვე სახელმწიფო საწარმონი და კოოპერატიული ორგანიზაციები და რეწაობენ „თვითმშრომელთა“ კავშირის წევრები, საბაზრო კომიტეტი უნდა მოეწყოს პარიტეტული პრინციპით, ე. ი. კომიტეტის წევრთა რიცხვი კერძო მოვაჭრეთაგან ერთის მხრით, და სახელმწიფო საწარმოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციითა და ხელოსანთა და ზინამრეწველთაგან—მეორეს მხრით თანაბარი უნდა იყოს; კომიტეტი პარიტეტ-

ტული პრინციპით უნდა მოეწყოს აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც, თუცა ბაზარზე სახელმწიფო საწარმო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ ეპრობს შინც ხელოსანთა და შინამრეწველთა რიცხვი ბაზარზე მოვაჭრე პირთა საერთო რიცხვის $\frac{1}{2}$ -ზე ნაკლები არ არის. ხოლო, უკეთეს სახელმწიფო საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეპრობა ბაზარზე სჭარბობს კერძო პირთა და კერძო ორგანიზაციათა ეპრობას, საბაზრო კომიტეტში ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა რიცხვს განსაზღვრავს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

11. კომიტეტის სხდომა შემდგარად ჩაითვლება, უკეთეს მას დაესწრო არა ნაკლებ, ვიდრე კომიტეტში არჩეულ პირთა ნახევარი. დადგენილება გამოიტანება ხმის მარტივი უმეტესობით. იგი აღინიშნება ოქმში, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა დამსწრე წევრი. კომიტეტის ისეთი დადგენილება, რასაც ბაზარზე მოვაჭრეთათვის უშუალო მნიშვნელობა აქვს, გამოიკიდება კომიტეტის სადგომში და ბაზარზე სპეციალურად ამისათვის ცალკე მიჩენილ ადგილებზე.

12. ყველა თავისი მოქმედებისა და გაწეული ხარჯების შესახებ კომიტეტი პერიოდულად შეადგენს ანგარიშს, რაც კომიტეტის სადგომში გამოიკიდება.

13. კომიტეტის წევრი მიიღებს გასამრჯელოს საერთო კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

IV. საერთო კრება.

14. საერთო კრება შესდგება იმ პირთაგან, ვისაც რეგისტრაცია გაკეთებულა აქვს საბაზრო კომიტეტში.

15. საერთო კრებას, ვარდა ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული კრებისა, მოიწვევს საბაზრო კომიტეტი.

16. საერთო კრება შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, რომელსაც მოიწვევს კომიტეტი წელიწადში ორჯერ მაინც, და საგანგებო, რომელიც მოიწვევს კომიტეტის ინიციატივით ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მოთხოვნით.

17. საერთო კრების მოწვევის ადგილსა და დროს, აგრეთვე ყველა იმ საკითხს, რაც კრებას განსახილველად წარედგინება, კომიტეტი აცნობებს მოვაჭრეებს განცხადების გამოკრით კრებამდე სამი დღით ადრე მაინც.

18. საერთო კრება შემდგარად ითვლება, უკეთეს მას დაესწრო იმ მოვაჭრეთა ერთ მესამედზე არა ნაკლები, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაზე.

19. დაწესებულება და ორგანიზაცია საერთო კრებაზე მონაწილეობას მიიღებს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელთა რიცხვს განსაზღვრავს ეპრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რიცხვისა და აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია დაწესებულება ან ორგანიზაცია.

20. საერთო კრება აირჩევს დამსწრეთა შორის კრების თავმჯდომარეს და მდივანს.

21. საერთო კრებაზე საქმეები გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

22. საერთო კრების სტდომისათვის შედგენილ იქნება ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

23. საერთო კრება:

ა) აარჩევს კომიტეტის წევრებს და განსაზღვრავს არჩეულ პირთა გასამრჯელოს;

ბ) განსაზღვრავს პრინციპს, რომლითაც მოვაჭრე ორგანიზაციებსა და პირთა შორის განაწილებულ უნდა იქნეს საბაზრო კომიტეტის ხარჯების დასაფარავად შესაკრეფი საკომიტეტო გამოსაღები;

გ) განიხილავს საჩივრებს კომიტეტზე;

დ) გადააყენებს თანამდებობიდან კომიტეტის წევრებს უმართებულო საქციელისათვის.

შენიშვნა. საერთო კრების გადაწყვეტილება წარედგინება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს იგი. საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმება შეიძლება შეიძინოს დღის განმავლობაში ამ გადაწყვეტილების მიღების დღიდან; ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება დამტკიცებულად ჩაითვლება. უკეთეს გადაწყვეტილება მეორეჯერაც არ იქნა დამტკიცებული, საერთო კრების მიერ გადაწყვეტილი საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაიტანება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

V. კომისარიატის ხაზხარი.

24. კომიტეტი თავისი მუშაობით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად ახდევინებს მოვაჭრეებს ერთდროულ და ყოველთვიურ საკომიტეტო გამოსაღებს. ყოველთვიური საკომიტეტო გამოსაღები გადაჰდება როგორც იმ პირს, ვინც რეგისტრაციაქმნილია კომიტეტში, ისე იმასაც, ვინც თუმცა რეგისტრაციაქმნილი არ არის, მაგრამ მუდმივად ვაჭრობს ბაზარზე.

25. ერთდროული საკომიტეტო გამოსაღები გადაჰდება მხოლოდ იმას, ვინც რეგისტრაციაქმნილია კომიტეტში ამა დებულების მე-6 მუხლის წესით. ერთდროული გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი თვის ყოველთვიურ საკომიტეტო გამოსაღებს.

26. მოვაჭრეთა საერთო კრება განსაზღვრავს პრინციპს, რითაც უნდა იხელმძღვანელოს საბაზრო კომიტეტმა საკომიტეტო გამოსაღების განსაზღვრის დროს იმ პირისათვის, რომელიც რეგისტრაციაქმნილია კომიტეტში (ბაზარზე დაქერილი ადგილების რიცხვის ან საიჯარო სასყიდლის მიხედვით).

საკომიტეტო გამოსაღები იმ პირისათვის, რომელსაც იჯარით არ აქვია ადგილი ან მიწის ნაკვეთი, არ უნდა აღემატებოდეს იმ უმცირესი გამოსაღების ნახევარს, რაც გადაჰდება კომიტეტში რეგისტრაციაქმნილ ორგანიზაციას ან პირს.

27. იმ პირს, ვინც ერთი თვის განმავლობაში არ გადაიხდის შეწერილ საკომიტეტო გამოსაღებს, საბაზრო კომიტეტი ამ გამოსაღებს სასამართლო წესით გადაახდევინებს.

28. საკომიტეტო გამოსაღების გადახდევინება დაწესებულია მხოლოდ იმ ხარჯების დასაფარავად, რასაც გამოიწვევს საბაზრო კომიტეტის ამა დებულების მე-7 მუხლში გათვალისწინებული მუშაობა. სპეციალური ხარჯი, რასაც საბაზრო კომიტეტი გასწევს ცელკე მოვაჭრისათვის, მასთანვე შეთანხმებით, როგორც არის მთავალითად სადგომის ვანთება, სპეციალური დაკევა და სხვა, გადაჰხდება ყოველ ცელკე პირს ან ორგანიზაციას ფაქტიურად გაწეული ხარჯის მიხედვით.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტი“-ს მე-187 №-ში 1928 წ. აგვისტოს 14.

108. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ინდუსტრიალური სააბრეშუმო თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შეაბრეშუმეობის განვითარებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაველოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც-კი სააბრეშუმო თესლს ამზადებს და ჰყიდის, მთლად სააბრეშუმო თესლი, როგორც შემოზიდული, ისე საქართველოს სსრ ფარგლებში დამზადებული, წარუდგინოს კონტროლისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

2. ის სააბრეშუმო თესლი, რასაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სააბრეშუმო სადგური ინდუსტრიალურ თესლად სცნობს, მოსპობილ უნდა იქნეს, ხოლო ცელულიარულ თესლს გადაეცერის სათანადო ბანდეროლი.

3. აკრძალულ იქნეს იმ სააბრეშუმო თესლის ყიდვა-გაყიდვა და შეაბრეშუმეთა შორის გავრცელება, აგრეთვე საქართველოს სსრ ფარგლებიდან მეზობელ რესპუბლიკებში გატანა, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სააბრეშუმო სადგურის ბანდეროლი არა აქვს.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს, როგორც თანამდებობრივი დანაშაულისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ, ხოლო კერძო პირი—დამინისტრაციული წესით, აღნიშნული კოდექსის 212 მუხლის თანახმად.

5. წინადადება მიეკეს აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-

ჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. ივლისის 17.

ტფილისი—სასახლუ.

109. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის იმ მეთაურებისათვის, რომელნიც სამხედრო სკოლებიდან გამოიშვებიან, სათანადო სამოქალაქო სასწავლებელ-დამთავრებულთა უფლებების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის იმ მეთაურებს, რომელნიც ქვეითი და ცხენოსანი ჯარის სამხედრო სკოლებიდან გამოიშვებიან, სამოქალაქო უწყების უმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვის და ყველა სხვა შემთხვევისათვის მიენიჭოს სამოქალაქო სკოლა—შეიღწეული და სხვა მისი თანაბარი სასწავლებელ-დამთავრებულთა უფლება.

2. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის იმ მეთაურებს, რომელნიც სამხედრო-საინჟინერო, საარტილერიო და მუშათა და წითელი არმიის სამხედრო-სასპეციალო სკოლებიდან გამოიშვებიან, მიენიჭოს სამოქალაქო სკოლა—ცხრაწლედ და სხვა მისი თანაბარ სასწავლებელ-დამთავრებულთა უფლება.

3. სხვა სამხედრო სასწავლებელი, რომელიც განახორციელებს საერთო-სავალდებულო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საცნების პროგრამას იმავე მოცულობისას, როგორც ამა დადგენილების 1-ლსა და მე-2 მუხლ. აღნიშნული სასწავლებლები, სასწავლებელ-დამთავრებულთა უფლების მხრით მიეთანაბრება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საერთო ქსელის სამხედრო და სამხედრო-სასპეციალო სკოლებს.

4. მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის იმ მეთაურებს, რომელნიც გამოიშვებიან სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებიდან (მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, სამხედრო-საზღვაო-საინჟინერო სასწავლებელი, სამხედრო-საზღვაო-საპილოტაჟო სასწავლებელი) მიენიჭოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების უფროსს კურსებზე შესვლის უფლება იმ თანაბარი საცნების ჩათვლით, რაც მათ სათანადო მოცულობით გაუვლიათ.

5. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს, გამოსცეს, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება) შეთანხმებით, იმ სამხედრო სასწავლებლების ნუსხა, რომელნიც, ამ სასწავლებელ დამთავრებულთა უფლების მხრით, მიეთანაბრებიან სამოქალაქო სკოლებს—შეიღწეულებს და ცხრაწლედებს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ივანოვ-კავკასიელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიძევილი.

1928 ივლისის 27.

ტფილისი—სახალხო.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 185 №-ში 1928 წ. აგვისტოს 11.

110. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამისთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტის შესახებ დამტკიცებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. შვერელიშვილი.

1928 წ. ივლისის 27.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტის შესახებ

1. გადასახლების საქმის გასაუმჯობესებლად და ამ სფეროში სხვადასხვა უწყების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესათანხმებლად და გასაერთიანებლად საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან მოეწყოს საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტი.

2. საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტის უფლება-მოვალეობას შეადგენს:

ა) გადასინჯოს საქართველოში გადასახლების საქმის პერსპექტიული და წლიური გეგმები და ხარჯთაღრიცხვები და მოსპოს დაინტერესებულ უწყებათა მუშაობაში შემწეული პარალელიზმი და შეუთანხმებლობა;

ბ) შექმნას სახელმწიფო საგადასახლებო ფონდი, რისთვისაც გამოკყოს სახელმწიფო მიწების ფონდიდან დასახლებისათვის ვარგისი მიწები, გადარიცხოს იმავე საგადასახლებო ფონდში ვაკე-ტყეები და გამოაცხადოს ნაკლებად დასახლებული სოფლები საგადასახლებო რაიონებად;

გ) განიხილოს ანგარიშები საგადასახლებო ღონისძიებათა შესახებ დ მისცეს მათ გამო დასკვნა;

დ) გაუწიოს ზედამხედველობა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა გადასახლებას და ხელი შეუწყოს ახალ ადგილებზე მათ დასახლებას;

ე) განიხილოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობანი მიწის კოდექსის 167 მუხ. წესისამებრ იძულებითი გადასახლების შესახებ და მისცეს დასკვნა საამისოდ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების გამო;



ვ) გაუწიოს დახმარება გადასახლებულთ სათანადო უწყებიდან კრედიტის მიღების საქმეში და ხელი შეუწყოს მათ კეთილმოწყობას;

ხ) განიხილოს სათანადო უწყებათა მიერ შედგენილი კანონპროექტები და ინსტრუქციები და წარადგინოს არსებული წესისამებრ დასამტკიცებლად.

3. საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტის შედგენილობაში შედიან: მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ეკონომიური განყოფილების გამგე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობისა და სას.-სამეურნეო სამმართველოების უფროსნი, საგადასახლებო განყოფილების გამგე, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუდმივი წარმომადგენელი (ეპიდემიოლოგი ან ჰიგიენისტი) და აფხაზეთის სსრ-სა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელი.

4. საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტის თიემჯდომარედ არის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, რომელიც მოიწვევს კომიტეტის სხდომებს საჭიროებისამებრ.

5. საგადასახლებო კომიტეტის სხდომა კანონიერია, უკეთეს მას დაესწრო წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც.

6. საქართველოს -სრ საგადასახლებო კომიტეტს უფლება აქვს იკონიოს უშუალო ურთიერთ მიმართვა და მიწერ-მოწერა ყველა რესპუბლიკანურ ან ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებასთან და ორგანოსთან და თავისი საქმეობისათვის გამოიყენოს საქართველოს მიწათმოქმედების საგადასახლებო განყოფილების აპარატი.

7. საგადასახლებო კომიტეტს აქვს საკუთარი ბეჭედი შემდეგი წარწერით: „საქართველოს სსრ საგადასახლებო კომიტეტი“.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 182 №-ში 1928 წ. აგვისტოს 8.

III. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სხვა ორგანოებთან სიუჟეტებო საგეგმო კომისიების დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, შრომის სახალხო კომისარიატთან, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან, განათლების სახალხო კომისარიატთან, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან, ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოსთან, წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან და „საქართველოს ჩიი“-ს სააქციონერო საზოგადოებასთან საგეგმო კომისიები.

2. აღნიშნული კომისიების მუშაობა ხუთწლიან საპერსპექტივო და გენერალური გეგმებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ცენტრების შედგენისათვის უნდა სწავრობდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელმძღვანელობით და მისგან მიღებული დირექტივების მიხედვით.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საგეგმო კომისიებს დაეკისრებათ:

ა) შეიმუშაონ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივების საფუძველზე, სათანადო უწყების მოქმედების გეგმიანობის საკითხები;

ბ) უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ მეურნეობისა და მმართველობის ცალკე დარგების საპერსპექტივო და წლიური გეგმების შემუშავების საქმეს, განიხილონ ეს გეგმები და შეადგინონ მთლიანი საერთო-საუწყებო გეგმა, აგრეთვე განიხილონ ანგარიშები ოპერატიული გეგმების შესრულების შესახებ;

გ) შეისრულონ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცალკე დაელოებანი;

დ) შეიმუშაონ და მისცენ სათანადო უწყების ყველა ორგანოს ინსტრუქცია.

4. საგეგმო კომისიების წინადადებებს და აგრეთვე პროექტებს ამა თუ იმ ლონისძიების თაობაზე დაამტკიცებენ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანოები.

5. საუწყებო საგეგმო კომისიის შედგენილობას განსაზღვრავს და დაამტკიცებს სათანადო უწყების ხელმძღვანელი.

6. წინადადება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ ყველა სახალხო კომისარიატსა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებას შეიმუშაოს, ამა დადგენილების საფუძველზე, სპეციალური დებულება მისი ქვემდებარე საგეგმო კომისიისათვის და წარუდგინოს დასამტკიცებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

7. დადგენილება ესე აღსრულებულ იქნეს ერთი კვირის ვადაზე დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივანოვ-კავკასიელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს

საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. ივლისის 31.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტი“-ს 186 №-ში 1928 წ. აგვისტოს 12.

112. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისათვის საამშენებლო მუშაობის საწარმოებლად გრძელვადიანი კრედიტის მიცემის პირობების შესახებ.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოებისათვის საამშენებლო მუშაობის საწარმოებლად გრძელვადიანი კრედიტის მიცემის საქმის მოსაწესრიგებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და საქალაქო საბჭო, რომელსაც სურს ისარგებლოს მშენებლობისათვის (საბინაო, კომუნალური, კულტურულ-სოციალური, სამრეწველო და სხვ.) გრძელვადიანი კრედიტი, მოვალეა გაითვალისწინოს საჭირო თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში.

2. ამა თუ იმ მშენებლობის საჭიროება და საამისო თანხის რაოდენობა სათანადოდ დასაბუთებულ უნდა იქნეს ბიუჯეტთან დართულ ახსნა-განმარტებაში; ამასთანავე ბიუჯეტს უნდა დაერთოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საამშენებლო-სატექნიკო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ხარჯთ-ალრიცხვა.

3. ამა თუ იმ ადგილობრივი ერთეულისათვის გრძელვადიანი კრედიტის მიცემის საჭიროებისა და რაოდენობის საკითხს შეიმუშავენს წინასწარ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი საქართველოს კომუნალურ ბანკთან ერთად.

4. გრძელვადიანი კრედიტის რაოდენობა საბოლოოდ განისაზღვრება ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

5. დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი გრძელვადიანი კრედიტის მიცემა ბიუჯეტის შესრულების პროცესში არ შეიძლება.

6. ამა დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეუძლიან გამოსცეს ინსტრუქცია.

7. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისარიატთა საბჭოებს გამოსცენ ერთი თავის ვადაზე ამა დადგენილების ანალოგიური დადგენილებანი.

8. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიიღოს სახელმძღვანელოდ ეს დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივანოვ-კავკასიელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. ივლისი 31.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 188 №-ში 1928 წ. აგვისტოს 15.

113. დადგენილებანი ს. კ. ს.

უმუშევართა სწავლების კურსების მოწყობისა და შევსების წესის შესახებ.

რათა საანგარიშო-საკანცელარიო საქმის იმ მომუშავეთა რიცხვი და პროფესიონალური შედგენილობა, რომელთაც სხვადასხვა კურსები ამზადებენ, შესაბამებოდეს ამ დარგის ნამდვილ მოთხოვნილებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოს და დაწესებულებას ამა თუ იმ კურსების (მანქანით გადაწერისა, მონაგარიშეობისა, საქმისწარმოებისა და სხვ.) მოწყობისა და მსმენელებით შევსების საკითხები თვითიველ ცალკე შემთხვევაში შეუთანხმონ შრომის სახალხო კომისარიატს.

2. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს გადასინჯოს, განათლების სახალხო კომისარიატთან და დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, იმ კურსების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი, რომელნიც მოწყობილ იქნენ ამა დადგენილების გამოცემამდე.

3. მიენდოს შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების განსახორციელებლად.

4. წინადადება მიეცეს აჭარისტანის სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
 კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. აგვისტოს 7.

ტფილისი—სახალხო.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 190 №-ში 1928 წ. აგვისტოს 17.